საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №272
2021 წლის 19 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბიუჯეტის განმკარგველის – 0984 – სსიპ „შრომის ინსპექციის სამსახური“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

„73	0985	სსიპ „ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტო“;

ბ) ბიუჯეტის განმკარგველის – 5143 – ა(ა)იპ „აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „შავნაბადა“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

„1504	5144	ა(ა)იპ „არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია“;
„1505	5145	ა(ა)იპ „მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტო“.“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**